



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



BRIGATINIB - ALUNBRIG®

რა არის ALUNBRIG-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ბრიგატინიბი	30 მგ ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი 90 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 180 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთხელ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაეუცმაცების, დაჭრის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
უნწყვეთლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, სისხლში შაქრის, CPK/კრეატინის ფოსფორკინაზა-ს დონეს, ღვიძლის, თირკმლის და პანკრეასის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (ბარიერული (მექანიკური) კონტრაცეფცია და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

ALUNBRIG®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ გრეიფრუტის წვენის, კრაზანას და გარკვეული დანამატების მიღებას, რომლებმაც შეიძლება ჰიპერტენზია გამოიწვიოს, როგორცაა გინკგო ბილობა, სევილიური ფორთოხლი, თავისისარა, იოჰიმბე, ძირტკბილა Alunbrig®-თან.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?



ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	ბიოლოგიური ანალიზი: ღვიძლის და/ან პანკრეასის ფუნქციის დარღვევა, სისხლში შაქრის და/ან CPK/კრეატინინის ფოსფოკინაზა-ს მომატება, ჰემოგლობინის (ანემია) და სისხლის თეთრი უჯრედების (ლეიკოპენია) შემცირება. საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის შეკრულობა, პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები) კანის დაავადებები: გამონაყარი, მზის მგრძნობელობა ფილტვების პრობლემები: ხველა, სუნთქვის გაძნელება გულ-სისხლძარღვთა პრობლემები: მაღალი არტერიული წნევა, გულის ფუნქციის პრობლემები ტკივილი: თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი (მიალგია), ნეიროპათიები: მგრძნობელობის დარღვევები (დაბუჟება, ჩხვლეტის შეგრძნება, წინკნა), წვის ან განმუხტვის შეგრძნება, ტკივილი სიცივის, სიცხის ან ტემპერატურის ცვლილებისგან. სხვა: დაღლილობა, ძილის დარღვევა, მხედველობის დარღვევა
ზოგ პაციენტს ესაჩიროება განსაკუთრებული ყურადღება	დიაბეტიანი პაციენტები (ჰიპერგლიკემია), ლაქტოზის აუტანლობის მქონე პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ფილტვების არეში დარღვევები > გაძლიერებული მუდმივი ხველა ან სუნთქვის გაძნელება მაღალი არტერიული წნევის მაჩვენებელი სიმპტომები > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნის და/ან თავბრუსხვევა > ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას გულის რიტმის შენელების მაჩვენებელი სიმპტომები (ბრადიკარდია) > გონების დაკარგვა, თავბრუსხვევა > არტერიული წნევის ვარდნა საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. > კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა თვალის პრობლემები > თვალის ტკივილი, ცრემლდენა ან სინითლე, მხედველობის დაბინდვა ან სინათლეზე მგრძნობელობა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > კუნთების ტკივილი > მგრძნობელობის დარღვევები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო გაზომვით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჭაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით.



	მოერიდეთ მენტოლის ან სპირტის შემცველი პირის ღრუს სავლებების გამოყენებას
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას.
მზისგან დაცვა	გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას (SPF 50). უპირატესობა მიანიჭეთ ტანსაცმელს, რომელიც ფარავს თქვენს სხეულს: გრძელმკლავიანი და ყელიანი, გრძელი მარჯალი და ქუდი.
თვალეები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. მოერიდეთ დაბალი განათების პირობებში მართვას
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
ინფექცია	რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა : ის თქვენ დაგიცავთ.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
ანთება პირის ღრუში (წყლულები)	მოერიდეთ მჟავა ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

